 შემოსავლების
სამსახური

საბაჟო დეპარტამენტი

ბრძანება N 20740

14/04/2014

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების - სასაქონლო ნიშნების „Myagkov“ და „Мягков“ სსიპ _ შემოსავლების სამსახურის ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის რეესტრში რეგისტრაციის შესახებ

„ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-17 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის, შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის „ლ1“ ქვეპუნქტისა და პატენტრწმუნებული თამარ კოჭლამაზიშვილის მ/წლის 14 მარტის N 36264/21 განცხადების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შემოსავლების სამსახურის ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის რეესტრში დარეგისტრირდეს CYHILL COMMERCIAL LIMITED-ის კუთვნილი ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები - სასაქონლო ნიშნები „Myagkov“ და „Мягков“.
2. სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის ვადად განისაზღვროს 2 (ორი) წელი ამ ბრძანების ძალაში შესვლის თარიღიდან.
3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს შემოსავლების სამსახურში (მის.: ქ. თბილისი, ვ.გორგასლის ქ. №16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) ერთი თვის ვადაში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIII თავით დადგენილი წესის შესაბამისად.
4. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ვლადიმერ ხუნდაძე

საბაჟო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი